ხელშეკრულება N

ქ.ონი 19.11. 2015 წელი

ერთის მხრივ შპს ,, ტმტ"(შემდგომში:,,გამყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნესტან ნარტყოშვილის სახით და მეორეს მხრივ ონის მუნიციპალიტეტი სსიპ სოფელ სორის საჯარო სკოლა შემდგომში (,,შემსყიდველი") მისი დირექტორის რუსუდან მეტრეველი-ბერიშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1,1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ,,გამყიდველის" მიერ ,,მყიდველისთვის" შეშის ღუმელების დასანთები დიზელის საწვავის მიწოდებას.

2,2 მიწოდება ხდება ,,გამყიდველის" ავტოგასამართი სადგურიდან.

2.ანგარიშსწორების პირობები

2.1 მხარეები წინასწარ ათანხმებენ საწვავის ღირებულებას, რაც აისახება შესაბამის მიღება ჩაბარების აქტში ან სპეციალურ საგადასახადო ფაქტურაში.

,,მყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საწვავის ღირებულება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ყოველი 15(თხუთმეტი) კალენდარულ დღის განმავლობაში.

2.2 ანგარიშსწორება წარმოებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარში, ნაღდი ან უნარდო ანგარისსწორების წესით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ,,გამყიდველი" უფლებამოსილია დაარიცხოს ,,მყიდველს" პირგასამტეხლო დროულად გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით ,,გამყიდველმა" შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას..

2.4 ხელშეკრულებით საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

3.მხარეთა ვალდებულება

3.1 ,,გამყიდველი ვალდებულია"

,,მყიდველის" შეკვეთის მიღებიდან ან ,,მყიდველის" მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან სამ დღის განმავლობაში გადასცეს ,,მყიდველს" ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს შესაბამისი საქონელი.ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

3.2 ,,მყიდველი ვალდებულია"

მოახდინოს ანგარიშსწორება ,,გამყიდველთან" წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2(ორი) კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს ხელშეკრულების მოშლის სურვილს წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება იმავე ვადით და პირობებით.

4.3 მხარეებს შუძლიათ ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება თუ რომელიმე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშკრულების პირობებს.

5.ფორს-მაჟორი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც რომელიმე მხარე ვერ ახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების გამო. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მხარემ მიიღო ყველა ზომა, გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და ალტერნატიული ზომები წინამდებარე ხელშკრულების შესასრულებლად.

5.2 ფორს მაჟორული გარემოებების ამოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადაზე.

6. სხვა პირობები

6.1 ხელშკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, მათ შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამყიდველის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა მიეცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

6.3 გამყიდველი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს სწვავის გაცემა ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლის უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.4 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკე პირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

6.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელშეკრულების მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები

,,გამყიდველი“

შპს,,ტმტ“

ონი რ-ნი სოფელი ჭალა

ტელ: 595 931083

საქართველოს ბანკი

ა/ა GE37BG0000000318058100

ბ/კოდი BAGAGE22

ს/კ 437976068

დირექტორი:

,,მყიდველი'

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის

სოფელ სორის საჯარო სკოლა

ს/კ 237981172

ა/ა GE30LB0120133032315000

ს/ს“ლიბერთი ბანკი“ 220101449

დირექტორი:

მიღება-ჩაბარების აქტი

30.11. 2015წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს "ტმტ" მისი წარმომადგენელის ნესტან ნარტყოშვილის სახით (შემდგომში "ჩამბარებელი"), ხოლო მეორეს მხრივ ონის მუნიციპალიტეტი სსიპ სოფელ სორის საჯარო სკოლა მისი დირექტორის რუსუდანი მეტრეველის სახით (შემდგომში "მიმღები"), ამ აქტით ვადასტურებთ, რომ ჩამბარებელმა გადასცა და მიმღებმა ჩაიბარა შემდეგი:

№	საქონლის დასახელება	რაოდ.	ფასი	სულ
1	დიზელის საწვავი	133 ლ	1.50 ლ	200 ლ
2	სულ	133 ლ	1.50 ლ	200 ლ

ჩააბარა:
„ტმტ"-ს წარმომადგენელი:
ნესტან ნარტყოშვილი

ჩაიბარა:
სკოლის დირექტორი:
რუსუდან მეტრეველი